

სიკნაზი

6

საქართველოს
გეოგრაფიული
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის
გეოგრაფიული
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის
გეოგრაფიული
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის

როდემდე უნდა ვითმინოთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ადამიანები ხელ-
ფასს იღებდნენ წუნისათვის, ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელ-
ზეც თვითონ ამბობენ უარს, როდესაც მყიდველის როლში აღმოჩნდებიან!
გაუმთავრიდან

ნ.ბ. მ. აბაშიძის



თანაზარღობის კრატიკა

შურისანი სიმბარხის

სხვათა რომ ვინც აქვს პიტიუნი...
საქმე, ხელი, სული, სურვილი...
მიუხედავად ამ არაღი და არაღი თაღუბს...

დავუბნე, რაც წილთხიან იმი...
ორ კვირამი ცენტრის კვლევიან...
წინადადებ სიხარული ვიქცევიან...

ბანისარაგვანი

ბანისარაგვანი ხავერდები დახვეული...
ვფრისი ვეწევიან, ვეწევიან...
წინადადებ სიხარული ვიქცევიან...

1. უფრო თორე ტანზე, ცუდადმეკვლე...
2. უფრო იანზე, უმსილად...
3. უფრო ხედავს, ხედავს...

ფიზიკა პოლ პოლიტიკური...
დაცობის ჯარში...
და ფრინველთა ვისცევიან...

უფრო, უფრო, დარბი ნუ ვეწე...
მომიწი, კიბოლი ხანსაღი...
ვხედავს ვეწევიან, ვეწევიან...

„მეცხეობა“ მესეკონიანი გამო...
ვეწევიან სიხარული ნანსიანი...
მეცო იმეცო, საღი მსიხარული...

1941, №20
შურისანი სიმბარხისი
„სიმბარხისი“ ცეცხლისაღი ვე...
ფიზიკის მესიხარული წილთხიან მესიხარული



სურსათი „ნიანგი“ დიდ სიმბარხისი იმი

გვირგვინი, ავირეი ჩანს, სიყვლილის ვე...
რა სიმბარხისი ვეწევიან?
— როგორმე უნდა შევანის სიყვლილი...
— თქვე სიმბარხისი და, პიტიულის არაღი...



სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი



სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი

ფიზიკის სიმბარხისი სიმბარხისი...
დაცობის ჯარში...
და ფრინველთა ვისცევიან...

გვირგვინი და უსიხარული...
— ხელმარელები...
— უსიხარული მოსიხარული...
— უსიხარული მოსიხარული...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სურსათი „ნიანგი“ დიდ სიმბარხისი იმი

22.11.1942 22.11.1942 გვირგვინის...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სურსათი „ნიანგი“ დიდ სიმბარხისი იმი

არ მოვიფრეს სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...


სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...


სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სურსათი „ნიანგი“ დიდ სიმბარხისი იმი

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...

სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...
სიმბარხისი სიმბარხისი სიმბარხისი...



საქართველო-ილიონიკელი ნიჟრა

„ფსიქიატრის“ შავონება

„— ძლიერ გიყვარდათ?“, „— ძლიერ!“
 „— ახლაც გიყვებით?“, „— თითქმის!“
 „ამ მართლა „შიზოფრენიკე“ ვითომ რაიმე ითქმის?!“
 „— სიმართლე გიყვართ?“, „— ძლიერ!“
 „— კეთილს აღმერთებთ?“, „— თითქმის!“
 „სულმთლად წასულა ხელიდან შვილი, გავრდილი სიმწრით!“
 „— გაყურდება გსურთ?“, „— არა!“
 „— ბედნიერი ხართ?“, „— ღიას!“
 „აბა, ის შენი მშობლები ჩემთან რად მოპყვენ კრიახს?!“
 „— ყური დამიგდით!“, „— გისმენთ!“
 „— თქვენ ავალა ხართ!“, „— ხა, ხა!“
 „თქვენ ისე მოგდით, მეფობა რომ მოინდომა ხახვმა!“
 „— ნორმის გადახრა!“, „— გატყობთ?“
 „— მე რაღას მატყობთ, ექიმს?!
 შევყარებული შენ ხარ და აქეთ მთავაზობთ ვეკილს!..
 შიზოფრენიის სახეა
 სიკეთობანა თქვენი:
 შე სიცილადაც არ მყოფნის დარდები ფოთოლცვენის!..
 გახსოვდეთ, გმართებთ სიღინჯე, თუნდ თვალწინ მოკლან კაცი!
 ზედმეტი ემოციები
 თქვენ ენერგიას გაცილით!
 ჯობს, იჭორაოთ კვანძებით, ჩუქურთმით მორთოთ ბზარი: რაპირობას ხომ ახერხებს
 სულაც უბრალო კარი?!
 ცას ნუ ახედავთ, — თარსია, არ გაიკაროთ წიგნი!
 წიგნის სიბრძნეებს გერჩიოს, იმპორტი ბინძურ ციგნის ისევ გაფრთხილებს! — სიძულვილს
 აქვს ქვეყნად მეტი ფასი! წინმდგომი კაცი საფრთხეა, დაბრკოლებაა, ნავსი! კვანძი დაუღეთ ლამაზად, ისე, რომ წაპკრას ცხვირი!
 წაქცეულს გადაუარეთ, სიტყვა არ წაგცდეთ ძვირი! დელიკატურად მოცეღეთ, ჩანდეს კულტურაც, აღზრდაც, და ისე გაანადგურეთ, თითქოს არც გქონდათ აზრად! სიტყვა თუ ვინმეს მიეცით, დიდი რამეა სწორედ!.. რამდენი ბუშტი საპნისა გამგზავრებულა შორეთს!.. სიჭკვიანე სჯობს! სიყვარულს ნება რა შვს ქვად იხლი?!
 სიკეთე-სიმართლისათვის ზოგჯერ გერგება წიხლი! ჩემს რეცეპტს თუ არ მიიღებ, მე ხელებს ვიბან შენზე! ვინ იცის, შიზოფრენია მოგუვება ფარულ გეწეი!..“

ელიკო და ზამისის ასული

მაინც რა საოცარი ამბები ხდება, უწენაესი ზევსის ასულის ლანდო, პირმშენიერო, თქვენ იცრემლებით, ჩვენ კი მწუსარებით გვადნობთ!
 ვაჟა-ფშაველას გამწირზე აგივლიათ (ვგრძნობ, საიღუმლოს გვანდობს) ჭერ უტურფესო ელენე დედოფალო, გამხელისათვის, წინასწარ გმადლობთ!
 ბატონ მენელაოს კაფე მოსურვებია და... (ვაი, იფსკენები, ცხოვრების ფანდო!) ხედავთ, თურმე, ვილაც ღრანჭმოქცეულს, დახლთან რომ სიფანდობს!..
 კარგად შებუბუბებული ქალი, ნამეტურ ოსტატურად ვაჭრობს, ღოთი, უწნო და უსიცრუვილო ფულებს საფულეში აქცნობს!..
 ბახსისის მოთაყვანე გამოთაყვანებულთ ისე უჭახუნებს ჭიქებს, ნაჭურღალ ფულებს სუნი არა სდისო! — ტრაბახობს, თავსაც იქებს!
 შეუნდეთ, ელენე დედოფალო, მზითევი სჭირდებაო ქალიშვილს! ის კი, ისეთი წვერულვაშიანია, თითქოს ჭადო ეღოს ბალიშში!
 ამ მახინჯს, ხელმარულს და აშაღლარს, ელენე ჰქვიაო სახელად, მითხრეს: ნეტა ამ ამბავს არ შევსწრებულაყვ და, ისე კი შეეთქვიფათ ნამთვრალევი ვირთხებს!..

თქვენ მაინც ჩემი ქვითინი გაოცებთ, ტრია არ მყოფნიდეს, ვითომ!.. ქალი — სიმახინჯე, ჩემი მოსახელე?! — გულის ცეცხლს ვერაფრით ვიჭრობ!

ანონიმისხს

არ დაიღალე, ბედშავო, ანონიმების წერიოთ?!
 სარკეში არ იხედები, ვით წაგებილწა ფერო?!.



დაგიბებრდა წერაში საჩვენებელიც, ცეროც!.. გულში ეშმაკი დაგიბის, სულში გველშავა მღერის!..

ველარ გამორწყე ვერაფრით, ტვინში წულულები ბღერის, რატომ გახარებს აგრერიგ ჩაქრობა ახალ კერის?!
 რა ყველა მოგძულებია, ყველა ვითაა მტერი?! რად ავითთა საწყევრად სანთლის ყოველი ღერი?!
 თვითონ ხარ ღედინაცვალი, თავად ხარ თვისი გერი; გულში გველები დაგიბის, სულში ეშმაკი მღერის!..
 ვაი, შენს მოხვლას ქვეყნად, შენს სურვილს შხამის წერის! იქნებ მორიელთ ჭიშის ხარ, გმალავს ფარული ხვრელი?!
 გაშინებს სააშკარაო, ზეცის გაშინებს ფერი!.. დვთის თვალს სად დამალები, თავს დაგექცევა ჭერი!

გაშინებს სააშკარაო, ზეცის გაშინებს ფერი!.. დვთის თვალს სად დამალები, თავს დაგექცევა ჭერი!

გაშინებს სააშკარაო, ზეცის გაშინებს ფერი!.. დვთის თვალს სად დამალები, თავს დაგექცევა ჭერი!

გაშინებს სააშკარაო, ზეცის გაშინებს ფერი!.. დვთის თვალს სად დამალები, თავს დაგექცევა ჭერი!

გაშინებს სააშკარაო, ზეცის გაშინებს ფერი!.. დვთის თვალს სად დამალები, თავს დაგექცევა ჭერი!

წინას სპამენი საგმირონი

სანამ მომავლავთან დატოვებდნენ, თურმე „ანგელოზი“ იყო წინა. მერე გადახრილა ცოდვის პინა, მერე გაუძარცვავს მკვდრისა ბინა.

ვაი, გადახრილა ცოდვის პინა, წინა ჩახვეს, თურმე, ციხეს შინა; ქურდი დედაკაცის ცხელებას ხომ ველარ უშველიდა ქინაქინა?!
 ვაი, როცა ქალში სინდისს სძინავს!.. ღრინავს, თავს იმართლებს ქურდი წინა; ოქრო კი არ მსურდა, მკვდრისა შიშით, შემომქარცვო სხვისი ბინა!

ვინა ჩახვეს, თურმე, ციხეს შინა, თავის გუგულისაც აღარ სძინავს!.. ქურდი დედის შვილის თითებზე ხომ ოქრო-ბრილიანტიც ველარ ბრწყინავს!..
 კაცნი უცხო-უცხო, ერთი ვინა?! თურმე „ანგელოზი“ იყო წინა, მერე გადახრილა ცოდვის პინა, მერე გაუძარცვავს მკვდრისა ბინა!..



ნახ. ჯ. ლოლუასი

— დედას გეფიცებით, პატ. მასწ., სიგარეტს აღარ ვაწევი!..
 — ფიცი მწამს, ბოლი მაკვირვებს!..

განმანათლებელი

ფელაქონი

თბილის-მოსკოვის მატარებელი იმ დღესაც ჩვეულებრივ მოსკოვისაკენ მიქროდა. შინაგან საქმეთა რკინიგზის სადგურ საშურის ქვეგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ყოფილმა ინსპექტორებმა ივანე გიგუაშვილმა და პავლე გელაშვილმა ც წესისამებრ შეამოწმეს მატარებლის შემადგენლობა. თითქმის ყველგან წესრიგი და სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ აი, პირველ ვაგონში კი... სამ ჩინთაში ჩაწყობილი ქალის თმის 4 000 ცალი სამაგრი აღმოაჩინეს საერთო ღირებულებით 6 800 მანეთისა. ვაგონის გამცილებელს ივანე ქსოვრელს არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა ამ საქონელზე და ვერც მისი პატრონი დაასახელა.

როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, ინსპექტორებმა ივანე ქსოვრელი მატარებლიდან ჩამოიყვანეს ჩინთებიანად და შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიაბრძანეს. რაღა თქმა უნდა, ქვეგანყოფილების ყოფილ უფროსს თამაზ ლალუაშვილსაც იმავე დღეს მოახსენეს.

დაიან, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ აქამდე ყველაფერი წესისამებრ მიმდინარეობდა და მათდამი სასაყვედუროც არავის არაფერი ექნებოდა, მაგრამ... რაც ამის შემდეგ მოხდა, იმას კი საქებრად ნამდვილად ვერ ჩავუთვლით წესრიგის ამ ვაი-დამცველებს. უსაბუთო ტვირთის დაკავების თაობაზე არც მატარებელში და არც შინაგან საქმეთა განყოფილებაში ოქმი არ შეუდგენიათ. არადა, ეს საჭირო კი არა, აუცილებელიც იყო! სამაგიეროდ, რომ იტყვიან, შესაშური მონდომებითა და ელვის სისწრაფით მეორე დღესვე დაადგინეს დაკავებული ტვირთის პატრონები — თბილისის კალინინის სახელობის საჩამოსხმელო ქარხნის საგალანტერიო სამაქროს მუშაკები თამაზაშვილი, შადდადიშვილი, ბაბაევი და სხვები.

მაღე ვაგონის გამცილებელმა ივანე ქსოვრელმა თამაზაშვილი და ბაბაევი საშურში ჩაიყვანა ივანე გიგუაშვილთან და პავლე გელაშვილთან.

— რა ვქნათ, პატრონო, შევედით, — დაიწყო თამაზაშვილმა, — პირველი შემთხვევაა, სხვა დროს არც უფაქტურო საქონელი დაგვიმზადებია და არც მისი რეალიზაცია გვიცდია. გვაპატიეთ, და ჩვენც ხალხი ვართ, პატივისცემა ჩვენზე იყოს!..

— პატივით კი გაპატივდით, მაგრამ ეს მართო ჩვენზე რომ არ არის დამოკიდებული? უფროსმა ყველაფერი იცის! — უპასუხა გიგუაშვილმა.

— მაშინ, თუ კაცი ხარ, ნუ დავგლუპავ და თქვენს უფროსს შეგვახედრე! — სთხოვა ისევ თამაზაშვილმა.

სულ მალე გელაშვილის მანქანაში ეს შეხვედრაც შედგა.

უფროსმა საკმაოდ მკაცრი სახე მიიღო, დაჰკითხა და განუმარტა მათ, რომ ეს საქმე ასე ადვილად არ მოგვარდებოდა!..
 — იცით თუ არა თქვენ, რომ ამისათვის სულ ცოტა 50 000 მაინც არის საჭირო!
 იქნებ ცოტა დაგვიკლოთ? ამდენი გავგიჭირდება!.. ასე, 30 000 რომ იყოს? — დაიწუწუნა ბაბაევი.
 უფროსმა ამის გავგონებაზე ისე შეიკრა წარბები და ისე გადახედა რომ ბაბაევი მაშინვე ორმოც ათასზე ავიდა!..

— ორმოცდაათი ათასს კაპიკი არ დააკლდება! — ისევ „ბრძანა“ უფროსმა და რაკი დარწმუნდნენ, რომ მასთან ვერაფერს გააწყობდნენ, დათანხმდნენ. ორი დღე ითხოვეს ფულის სამოვნელოად.
 რამდენს არ ეცადნენ, რა არ იღონეს, მაგრამ 43 600-ზე მეტი ვერ შეაგროვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფული დათქმულზე ნაკლები იყო, ორივე მხარე მაინც კმაყოფილი დარჩა, ლალუაშვილმა სულგრძელად „აპატია“ და ჩინთებიც დაუბრუნა. იმაზე ფიქრით კი, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებლები კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ „საქმიანობას“ და სახელმწიფოს დიდი ოდენობით ზარალს მიაყენებდნენ, დიდად არ შეუწუხებია თავი.

ვინ-ვინ, მაგრამ თამაზ ლალუაშვილი კი უნდა დაფიქრებულიყო ამაზეც და იმაზეც, რომ რაც არ ერგებოდა, არ შეერგებოდა, მაგრამ ვერ სძლია სიხარბეს თვისსა, რისთვისაც საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეჯამ ივანე გიგუაშვილის თავმჯდომარეობით 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაძლიერებული რევების შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით, ივანე გიგუაშვილს — 14 წლით, პავლე გელაშვილს — 13 წლით.

თამაზ ლალუაშვილს დამატებით მიესაჯა 5 წლით გადასახლება სასჯელის მოხდის შემდეგ.

ვ. მაისია

მეული თანამდებობანი ახალი ვაგებით

მოურავი — მომარაგების განყოფილების გამგე. თავდაპირველად დირექტორის მომარაგება რომ აქვს დაკისრებული.

პირველი ვეზირი — მმართველის პირველი მოადგილე, თავის პირველი დამცველი.

მეორე ვეზირი — მმართველის მეორე მოადგილე, ტამის მუდმივი დამცველი.

მეჭურჭლეთუხუცესი — მოლარე, ლარი ბუღალტერი. რაში რომ აქვს გაბმული.

მეფუნდუკე — სასტუმროს ადმინისტრატორი, ახლა „ადგილი არ არი“—ას რომ ეძახიან.

მეებღე — ტაქსის მძღოლი, თავის „ცხენს“ თივის ნაცვლად ოცკაპიკიანს რომ აყოლაბინებს.

ვ: კახელიშვილი

გ ა ნ ხ ს ა ლ ე ბ ა

სამი დღის წინათ, ქუჩაში სეირნობისას, დამეკარგა ინტელექტი. მნახველებს ვთხოვ, მოტანაზე ნუ შეწყნდებიან, ასე უფრო მშვენივრად ვგრძნობ თავს!

ოტია ოვლაბელი

მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქების ბაზრებზე
ჯერ კიდევ მრავლად არიან სპეკულანტები საქართველო-
დან, რომლებიც ვაჭრობენ ყვავილებით, მანდარინით,
ფორთოხლით, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქ-
ტებით.

ნახ. ბ. ლომიძისა



დიდი მანეთით გატაცებული

სოკო მანია

ფელატონი

იმ უამრავ „მანიას“ შორის, რომელთაც ბოლო წლებში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი (ვოქვათ, ავტომანია, წიგნომანია და სხვ.), ნუ იტყვიან და, თურმე, ახალი „მანიაც“ გამოჩენილა — სოკო მანია. თუ რამ განაპირობა ამ ახალი გატაცების წარმოშობა, ამ კითხვას ალბათ ყველაზე ზუსტად ბორჯომის რაიკოოპერატივის გამგეობის მესვეური გასცემენ პასუხს, რადგან სწორედ მათს ობიექტებზე იმძლავრა ამ სენმა.

მკითხველს (და მათ შორის, ჩვენც) ბევრი მიეთმოეთი და მიკიბულ-მოკიბული არ უყვარს, კონკრეტული საუბარი ურჩევნია. კეთილი და პატიოსანი. ამა წლის 30 იანვარს ბაკურიანიდან წამოსული მე და ჩემი მეგობრები არჩევანში ვიყავით, თუ რომელ რესტორანში გვესადილა. ჯერ „სეობას“ ვესტუმრეთ; ჯერჯერობით მხოლოდ სოკო გვაქვს მზადო. ერთმა მეგობარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვია, მომკალით და ვერ გვამ სოკოს, შარშან ზაფხულს იმერეთში მთელი ოჯახი ამოწყვიტა სოკომო. ჯანდაბას, რესტორან „ახალდაბაში“ წავიდეთ, იქნებ იქ გავგინათლოს! თქვენც არ მომიკვდეთ! იქაც სოკო! ასე იყო წაღვერშიც, ყვიბისშიც... ბოლოს, იქნებ ბედად ზარმაცების საში ჰქონდეთ, — გავიფიქრეთ და რველის სასაში-საკენ ავიღეთ გეზი, მაგრამ... ჰოი, საოცრება! იქ, სადაც გზიდან გადასასვევია, ისრინა წარწერა გვეცა თვალში: სოკო!

ბუნებრივად დაგვებადა რამდენიმე კონკრეტული შეკითხვა ბორჯომის რაიკოოპერატივის თავმჯდომარის აშხ. მისეილ შერგელაშვილისადმი.

1. გაქვთ თუ არა აღნიშნულ ობიექტებში სოკოთი ვაჭრობის ნება-რთვა?
 2. რომელი ბაზა, მეურნეობა თუ სხვა ამარაგებს ამ ობიექტებს?
 3. რის მიზეზებით გაიანგარიშეთ სოკოს ღირებულება? ერთი სიტყვით, არსებობს თუ არა სოკოს კალკულაცია?
- „ნიანგი“ საკმაო მოუთმინლოებით ელის პასუხს ამ შეკითხვებზე!

ჯამლათ სერგიელი

ფრაზები

- **სანამ ცოცხალი იყო, უკვდავ ნაწარმოებები შექმნა.** უკვდავი რომ განდგა, თითი თითზე აღარ დაუკარებია.
- **განმეორება ცოდნის დედაა და — ყველა კურსი ორ-ორჯერ გაიარა.**
- **პისნაც** პირის ვემო კარგი აქვს, იმას მკვდარი „ცოცხალი“ ურჩევნია ცოცხალს.
- **„სინილის ოთახში“** თვალნათლივ რწმუნდები, რა შეუძლია მრუდე სარკეს, რომელიც ადამიანმა შექმნა: ავამაღლებს, დაგადაბლებს, დაგვარებს, სასაცილოს გაგნდის და — ისიც შესწავე თვალში!
- **ზომჯერი** ადამიანი ფეხებით უნდა დაკიდო, რომ თვითონ ფეხებზე არ დაიკიდოს ყველაფერი!
- **„ლჰინაპრივი კომედია“** დაწერილია და „ადამიანური კომედია“, მაგრამ კომედიების წერას მაინც არ იშლიან. რა კომედიაა..
- **სატირალ** დღეშია ჩვენი სატირა!
- **პირთი** კი არა, რაც დედამიწაზე საათია, ყველა ერთად რომ გაჩერდეს, დრო მაინც ივლის.
- **ადამიანს** რომ სიკვდილის შემდეგ მიწის დაყრა უნდოდეს, კუბოს სახურავს არ გამოიფიქრებდა.
- **ალბათი** რა მოსაწყენი ერთფეროვნება იქნება, ადამიანებს სამოსელი რომ გახადო, სამსახურებრივი საყარძლიდან გადმოსვა, ნიღბები ჩამოსხნა და დატოვო ასე დედამიწაზე. სხვა თვისებები რომ ჰქონდეთ, კიდევ პო!
- **ბაქრი** მეცნიერი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან. უკუპროცესი თუ არის მეცნიერების თვალთახედვის არეში?
- **ადამიანმა** გაიგო ცხოველების ქცევა, ნირო, ენა... აი, ცხოველებმა კი ადამიანების მიმართ ვერაფრით ვერ მოახერხეს ეს.
- **ადამიანებში** შეამჩნევდით (ეს ძნელი არ არის!), მაგრამ თუ იცით, რომ მცენარეებშიც ფუნქციონირებულა მლიქვნელობა და იცით, რომელია ყველაზე დიდი მლიქვნელი? — მზესუმზირა! ვიდრე ცაზა, სულ თვალში უცქერის მნათობს.
- **ეს რა ბაღეები გამოიგონეს?! —** ლიფსიტები შიგ ეხვევიან, ვეშაპები კი თავს აღწევენ!
- **„არა კაც ჰკლა!“** — ეს კი, მაგრამ რა ვუყოთ არაკაცს?
- **ზომ** ჩვენს მწერალს კბილების დაცვენასთან ერთად აკლდება სიბასრე და არაბუნებრივი არაფერია იმაში, რომ ვეღარ იკბინება.
- **რბ ტრაგედიაა,** როცა ავტორს თავისი მღარე კომედია კარგი ჰგონია და პირიქით — რა კომიკურად გამოიყურება ავტორი, რომელსაც ჰგონია, რომ კარგი ტრაგედია დაწერა!
- **ლამის** გარეშე ვარსკვლავების კაშკაში გაგივით? ამიტომ თუ გინდათ, იკაშკაშოთ, შეეცადეთ, გარშემო უკუნი შექმნათ!
- **ზომს** რატომღაც ჰგონია, რომ ვინც შესაათა, ის არის მედროვე.
- **„ფილოსოფიის სილატაკა“** ვიცი, მაგრამ ვინმე თუ მოჰკიდა ხელი სილატაკის ფილოსოფიას?
- **ცნობრებაში** ერთხელ დაიდო გულზე ორივე ხელი სიმართლის ნიშნად და ისიც სიკვდილის შემდეგ.
- **ჯიუტი** ხარ, სიჯიუტე უნდა მოიშალოო! — მეუბნებიან. ფაქტი ყოველთვის ჯიუტია, მაგრამ გაუბედა ვინმე — მოიშალოო?! ანდა რომც გაუბედო, მოიშლის? არა! ეს ფაქტია, რომელსაც ვერსად ვერ გავექვია!
- **ამა** თუ იმ პიროვნებას სწორად ამგავსებენ მამას — კანონიერს (ზოგჯერ უკანონოსაც). მაგრამ არავისთვის არ უთქვამთ ჯერ, ო, როგორ ჰგავხარ ადამიანსო. მე მგონი, ზოგ-ზოგებს არ ახსოვთ, როგორი უნდა იყოს ადამიანი!
- **ზომიერთი** „ერისკაცი“ შემოქმედი ფანტაზიითაც არის დაჯილდოებული; ცნობილ ანდაზას ავითარებს და ამბობს სოლემ (გუნებაში, რა თქმა უნდა): — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო და მერე კი — ეროო!

დონ პედრო

იუმორისა

სამსახურში არ იკმარა — შინაც შექმნა კომისია!..
თავმჯდომარედ თვითონ დაჯდა, მდივანად დედა
მოიწვია!..
მოსვენება სიდედრს სთხოვა, უთხრა: „ჩემო პოლიცია,
რეგლამენტით არ შეგზღუდავ, — რამდენიც გსურს,
მომიცი!“
ჯერ სიდედრმა კრიტიკული მასალები მოიძია!..
ისე მაგრად მოემზადა, სიდედრებმა რომ იციან!..
შვილიც მაგრად... კეტავს კარებს და კითხულობს ცოლი
სიას,
თან აღრიცხვას აწარმოებს და ასრულებს ორ მისიას!..
ცხრაპუნქტიან დღის წესრიგში დამატებით ათი შეაქვთ!..
მერე ერთხმად ამტკიცებენ და არ წყვეტენ ტაშის
გრივალს!..
სსდმას მოსდევს დახურული კრება!.. იწყებს ზოგი
წრივალს!..
იხურება დახურული და იხსნება კრება ღია!..
(ინსტრუქციის ვაცნობამდე შესვენება-მიტინგი აქვთ!..)

კრებებს თათბირს მიაბამენ, როცა მისგან მოიცლიან,
იყოფიან სექციებად, ახლა სემინარებს სსნიან!..
ანლობლებს და ნათესავეებს, რომ ესტუმრნენ ოჯახს
გვიან,
სახლის კარებს არ უღებენ და კამათზე გადადიან!..
(ვინც გაპარვას დააპირებს, იმას დეზერტირად თვლიან!..).
სემინარებს შუალამის პლენარული სსდომით ცვლიან!..
მას აჯამებს თავმჯდომარე (თავმწოლარე უფრო ჰქვია!..).
...სიდედრი თვლემს, ცოლი ყვინთავს, შვილი ტირის
(მგონი, შია!..).
გარიჟრაჟის ქამი დგება, არ იძინებს კომისია!..

...
ყოველ ღამეს ასე თეთრად ათენებენ, ორი თვეა!..
საყვარელო მკითხველებო, დასკვნა თქვენთვის
მომინდვია!

ბათუ მელია





— ეს იმიტომ დასაჯეს, რომ წყალი ღვინოდ აქცია!..

რატომ იწერება მწვავე ფელეტონი იშვიათად?

იუმორისა

ფელეტონი ისეთი ჟანრია, თუ დაწერ, წყლიდან ბატვით მშრალი უნდა ამოხვიდე და შენს დაწერილსაც მზის ამოფრქვევის ძალა პქონდეს, რომ დამნაშავეებმა თვალი ვერ გაიგისწორონ!..

ვთქვათ, შედისართ რედაქტორთან და რიხიანად იწყებთ: — მე, ბატონო რედაქტორო, ფელეტონს ვწერ ჩვენი პურის ქარხანაზე. იქ ანტისანიტარიაა, პურს წონაში აკლია და ნახევრად გამომცხვარია, ფელეტონის სათაურიც მოფიქრებული მაქვს — „პური ჩვენი არ ცხვებისა!“

რედაქტორი კი სათვალეს მოიხსნის, სიგარეტს გააბოლებს და ნახევრად ირონიულად გეტყვიან:

— მერედა, შენ ხომ იცი, იქ ვინ მუშაობს?!

ამ დროს არ უნდა დაიბნე, თვალი უნდა გაუსწორო მის გამობედვას და უპასუხო:

— ჩემთვის სულ ერთია!..

რედაქტორი ნამდვილად წამოწითლდება:

— თუ თქვენთვის სულ ერთია, ჩემთვის სულ არ არის სულ ერთი!

შენ უკვე ამით მისხვები, რომ „წერე და იკითხე“ გამოგივა!. შენი ფელეტონი არ დაიბეჭდება, მაგრამ ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო, უნდა ადგე და დაარწმუნო, შეედავო ფელეტონის აუცილებლობაზე, რომ ზოგიერთები სულ თავს გავიდინებ, პასუხისმგებლობას არ გრძნობენ!..

რედაქტორი ნამდვილად მოწყალებს და შემოგთავაზებს:

— დაწერე კეთილმოუწყობელ გზუბზე! პირველ რიგში — ბაზართან მისასვლელ გზაზე, რომელიც სახელს უტებს ჩვენს რაიონს!.. — შენ, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმები, იმიტომ კი არა, რომ კარგი გზები არ გინდა გქონდეს, არამედ, უბრალოდ, შენს მეგობარზე ფელეტონს ვერ დაწერ!..

აი, რატომ იწერება მწვავე ფელეტონი იშვიათად!..

კუკური კუკულაძე (ლანჩხუთის რაიონი)

„ვაზო, ვაზო, ვაპ, რა ხეო!“ — დამძახოდი, „ყველა ხეში სამეოთხეო!“ — დამძახოდი, „ცოცხალი ვარ, შენ მაცოცხლებ!“ — დამძახოდი, „მოკვდები, შენ დამძახეო!“ — დამძახოდი. ახლა რაღა დაგიშავე? ერთი მითხარ!

ფესვი რატომ ამომიგდე? ერთი მითხარ! ქორწილი ვერ დაგიშვენი? ერთი მითხარ! თუ ჭირში ვერ გამოგადე? ერთი მითხარ! მე შენ იმდენს ვერ გაძლევდი, მართალია, რასაც გაძლევს კიტრის ბალი, მართალია! აი, ამის გამო წავსდი, მართალია! კიტრში ვასაცვლელი ვავსდი, მართალია! ახლა ვგდივარ საცეცხლურთან მე საბრალო! დავტირი ფესვს, მზეს მიშვერილს, მე საბრალო! დაწვას ველი განწირული, მე საბრალო! ისევე შენვე თუ მიშველი მე საბრალოს! გული მაინც არ გიწყრება, პატრონი ხარ! პირიქით, სურს გავამართლოს, პატრონი ხარ! შენზე კარგი მე ვინა მყავს, პატრონი ხარ! შენთან რა მაქვს საკამათო, პატრონი ხარ! რა ვქნა, ძველი ვაზი ვიყავ, მართალი ხარ! ჭრიან მისუსტებულ ფესვებს, მართალი ხარ! განახლება მჭირდებოდა, მართალი ხარ! რადგან დაუძაბუნდი ესე, მართალი ხარ! განმახლე, განმაცოცხლე, შენს მარჯვენას ვენაცვალე! ნუ მატირებ მე უცრემლოდ, შენს მარჯვენას ვენაცვალე! დაგაფასებ, თუ ვაზი ვარ, შენს მარჯვენას ვენაცვალე! ხომ ვერ გაძლებ შენც უნემოდ, შენს მარჯვენას ვენაცვალე?!

ლალი პარტაშვილი

სასარბულო ჩივეა-ლაჩიბუა

- თავხედ შეილებს თავზე ნუ დაისვამ, თორემ მერე შენი სატარებელი იქნებიან!
● თუ ხელქვეითებს ვერ იჭერ, ეცადე, საკუთარი თავი მაინც დაიჭირო!
● თუ არავინ გიცნის, შენც ნურავის უცინი!
● თუ ხშირად გიწევს ფაქტებზე თვალის დახუჭვა, შავ სათვალე გაიკეთე!
● თუ ძლიერს ეკრძალები, სუსტს ნუღარ ეძალები!
● თავდაცვაზე მანამ იზრუნე, სანამ თავდასმა მოხდება!
● თუ საყვედურს ვერ იტან, ნურც სასაყვედუროდ გაიხდი საქმეს!
● თუ ყველაფერი რიგზე გაქვს, რიგში ნუ ჩადგები!
● თუ წარმატება გახარებს, წარუმატებლობასაც უნდა შეეგუო!
● თუ ფეხზე მაგრად არ ღვახარ, ნურავის ნუ უბიძგებ!
● თუ უფროსი კარგი თვალით გიყურებს, ეცადე, არ გამოხვიდე მისი მხედველობის არიდან!
● ისეთ სკამზე ნუ დაჯდები, ადგომისას რომ გამოგეცლება!
● თუ მარჯვენა გიჭრის, „მარცხენას“ ნუღარ აწვალე!
● თუ უკან არ იხედები, ვერც წინ დაინახავ რამეს!
● თუ ვინმემ ფეხზე დაგაყენა, ეცადე, წელში შენით გაიმართო!
● წონასწორობას ადვილად დაკარგავ, თუ შენი წონა არ იცი!
● უფროსს მაშინ მაინც დამორჩილე, როცა თავს ვერ იმორჩილებ!
● ვინც გიცქერს, ყველა როდი ტყდება შენი ცქერით!
● მივრამ წახვევარს ისე ნუ გაათამამებ, რომ ცხოვრება გაგინახვეროს!
● თუ არაფერს აკეთებ, ნუ გგონია, რომ არაფერს აფუქებ!



„გივი ლომიძე ძია სემის წინააღმდეგ!“ — ასეთი სათაური აქვს კუბაში გამოშვებული ჟურნალის „URSS“ („სსრკ“) ბოლო ოთხ გვერდზე მოთავსებულ ილუსტრირებულ მასალას, სადაც აღნიშნულია, რომ ათ წელზე მეტია, რაც პოლიტიკური სატირის უანრში მომუშავე მხატვრისათვის ლათინური ამერიკა უმთავრეს თემად იქცა.

მძაფრი უღერადობის პლაკატები და კარიკატურები დაუნდობლად ამხილებენ ამერიკის იმპერიალიზმის შავბნელ ზრახვებს, მონოპოლიების მტაცებლურ ხასიათს და ვაშინგტონის ადმინისტრაციის დემაგოგიურ „სწრაფვას“ მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

მხატვარ-კარიკატურისტი ნილას ხდის ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, ააშკარავებს მის სრიაკებს. სწორედ ამ სრიაკების შედეგად, 1978 წლის სექტემბერში,

ჩილეში მოეწყო სამხედრო-ფაშისტური გადატრიალება, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ალიენდესა და მისი დემოკრატიული მთავრობის წევრების მხედური მკვლელობა!.. იმ უფოთიან დროს უურნალ „კოკოლილში“ გამოქვეყნდა გივი ლომიძის პოლიტიკური კარიკატურა.

ფაშისტის ჯალათის პინოჩეტისა და მისი სულისჩამდგმელის — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხილებით იწყებს მხატვარი ამერიკისა და მსოფლიო იმპერიალიზმის გამოაშკარავებას, გვიჩვენებს, თუ როგორია პოლიტიკური უანდარმის ნამდვილი სახე, რას სჩადის იგი იმისათვის, რათა მუდმივ მონობაში იყოლოს ლათინური ამერიკის, ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების, ხალხები.

გივი ლომიძის მებრძოლ პოლიტიკურ სატირას მილიონობით მკითხველი გაეცნო საბჭოთა პრე-

სისა და უცხოეთის. მათ შორის ბურჟუაზიული გამოცემების საშუალებით. მხატვარ-კარიკატურისტის უოველ გაბედულ მონახაზში იგრძნობა დაუოკებელი სწრაფვა, სააშკაროზე გამოიტანოს ამერიკისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ნეოკოლონიური პოლიტიკის არსი.

შემდეგ ნათქვამია, რომ მხატვრის შემოქმედება არა მარტო გააზრებითაა ორიგინალური, არამედ ოპერატიულია.

1983 წლის 2 ნოემბერს მოსკოვში, ახალი ამბების სააგენტოს კულტურის ცენტრის საგამოფენო დარბაზებში უნდა გახსნილიყო მხატვრის პერსონალური გამოფენა, სწორედ მაშინ ამერიკელმა აგრესორებმა ფეხქვეშ გათელეს პატარა გრენადის სუვერენიტეტი!..

გამოფენის გახსნის წინააღმდეგ გივი ლომიძემ წარმოადგინა სნაიპერულად შესრულებული კარიკატურა „ძია სემი „საკუთარ ტირში“, რამაც დამთვალეიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს ნამუშევარი შესულია ალბომში „გივი ლომიძის 100 ნახატი“, რომელსაც წელს გამოსცემს ახალი ამბების სააგენტოს სამმართველო რუსულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე.

ბოლოს ლაპარაკია იმაზე, თუ რა ხერხებითა და რა შემთხვევების ფონზე უხდება მხატვარს პოლიტიკური პლაკატებისა და კარიკატურების შექმნა.

სურათები ამოღებულია შურნალ „URSS“-ის 1984 წლის სექტემბრის ნომრიდან.



საინფორმაციო ხელუია!



საბირისა და იუმორის
ჟურნალი „საინფო“ № 6
(1688) მარტი, გამოდის
1923 წლის ივნისიდან.

პოლიტიკური ფაბრიკა

გფრ-ის მთავრობამ ფართო პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა: ცდილობს ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება წარმოადგინოს, როგორც აუცილებელი ზომა. ცნობილი დასავლეთგერმანელი ფელეტონისტი დასცინის ბონელის პოლიტიკოსების სრიკებს, ამხილებს მათ სიცრუესა და ანტისაბჭოურობაში.

— შემაერთეთ, გეთაყვა, ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის ფედერალური უწყების „დასოშინიების განყოფილებასთან!“

— განყოფილების კონსულტანტი გისმენთ! აა, ისევ თქვენ ხართ?! ნუთუ უკანასკნელმა წამალმაც არ გარგოთ?!

— სამწუხაროდ, არა! შესაძლოა, ეს თქვენ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში პირველი „პერშინგ-2“ რაკეტების მოსვლამდე გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს, ახლა კი დოქტორ დრეგერის (ბუნდესტაგში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან სოციალისტთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარე. რედ.) დამამშვიდებელი აბებიც კი, დამზადებული რეცეპტით — „მოსკოვი ცნობს მხოლოდ პოლიტიკას ძალის პოზიციიდან“ — პირიქით მოქმედებს.

— საშუალება, რომელზეც თქვენ მელაპარაკებით, უკვე ამოღებულია ყველა აფთიაქიდან, როგორც მავნე, ასე რომ, თქვენთვის ახალი წამალია საჭირო!.. მომითმინეთ, ახლავე მოვძებნი კატალოგში. სომ არ შევჩერებულყავით ვერნერის (გფრ-ის თავდაცვის მინისტრი. რედ.) აბებზე? ეს წამალი შედგენილია რეცეპტით — „რუსების ეკონომიკა დიდხანს ვერ გაუძლებს!“ ყოველ შემთხვევაში, ეს ძლიერი საშუალებაა და ხანგრძლივად მოქმედებს!

— როგორ უნდა მივიღო?

— ვერნერის აბები უბრალოდ უნდა ყლაპოთ, არის კიდეც ერთი პრეპარატი, ჩვენი შეფის მიერ შემუშავებული: ბენიშის ვაჭინა, იგი შექმნილია რეცეპტით — „რუსების მუქარა სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ!“ (ბენიში — ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის ფედერალური უწყების ხელმძღვანელი. რედ.)

— არ გამომადგება! ვენაში შესაყვანი საშუალებები ჩემში ალერგიას იწვევს. იქნებ სხვა უფრო ეფექტური წამალი გქონდეთ?

— თქვენ მხედველობაში გაქვთ კოლის პრეპარატი? იგი დამზადებულია რეცეპტით — „მოსკოვს ესაჭიროება განმუხტვა და ამიტომაც უბრუნდება მოლაპარაკების მა-

გიდას“. გამოშვებულია აბების სახით და მიიღება დილით უზმოზე. აბები ტკბილია, პირში აღნება ადამიანს.

— მაგრამ მაგანაც რომ არ მიშველოს?

— მაშინ გვრჩება მხოლოდ ჰომეოპათიური საშუალება ბავარიიდან — „შტრაუსის ნაყენი“ (შტრაუსი — ქრისტიან სოციალისტთა კავშირის თავმჯდომარე, ბავარიის პრემიერ-მინისტრი. რედ.). შედგენილია რეცეპტით — „ვინც რაკეტებს არ ღებულობს, იგი მოსკოვის აგენტია!“

— ნაყენი ძალზე ძლიერი საშუალებაა, კანი ახლავე ლაქებით დამუფარა.

— გეტყობათ, შიშისადმი მეტისმეტი მიდრეკილება გაქვთ, — ხმაში თანაგრძნობა და ეტყო კონსულტანტს, — შესაძლოა, ამ მდგომარეობამ გაგიაროთ, როცა ყველა 108 რაკეტა „პერშინგ-2“ განლაგდება. რა, თქვენი სახლი ასე ახლოსაა მუთლანგენთან? (ამერიკის სამხედრო ბაზა, სადაც უკვე საომარ მზადყოფნაშია „პერშინგ-2“).

— 250 კილომეტრზეა.

— მაშინ უბრალოდ ვერ გავრკვეულვარ, რა საზრუნავი უნდა გქონდეთ?!


— მაშ, რა რეკომენდაციებს აძლევთ მუთლანგენისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთ?

— რჩევა ერთია: დაუყოვნებლივ გაყიდონ სახლები და მიწის ნაკვეთები, ვიდრე ფასები შედარებით კარგ დონეზეა!

— იქნებ მეც მომცეთ კეთილი რჩევა?!

— რა თქმა უნდა! სცადეთ, დაარწმუნოთ თავი, რომ თქვენი ბედი რონალდ რეიგანის ძლიერ, ნაცად და საიმედო ხელშია! გესმით ჩემი?!

ჟურნალი „ზა რუბაჟოვ“



КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

მთავარი რედაქტორი
ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ვახუა ამირჩიბი, ნოზაძე
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე ხამსონია,
ზევან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიგწივაძე, ნათო ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მინიელ კუხალაშვილი

გალაქცია ასაწყობად 23. 2.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 20. 3. 85 წ. ქალა-
ლის ზომა 60 X 90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააორციცგო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9. სა-
ქართელოს კვ ცკ-ის გა-
მომცემლოთა, ლენინის, 14
შეკვეთა № 504. უშ 05415.
ტირაჟი 142.000. ჟურნალ-
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიტი
05დამსნი 76137